ახალი ხარაგაული

388 (19) 15 ოქტომბერი, 2018 წ.

იმერეთის გუბერნატორი ხარაგაულში საქველმოქმედო აქციას დაესწრო

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძე, შვედეთის ელჩი საქართველოსა და სომხეთში ულრიკ თიდესტრომი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე ხარაგაულში შვედი ექიმების მიერ განხორციელებულ საქველმოქმედო აქციას დაესწრნენ. სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციის წარმომადგენლები კვლევებს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ორი კვირის განმავლობაში ატარებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ შვედი ექიმები თავისუფალ დროს პაციენტებს ჯანდაცვის ცენტრშიც იღებდნენ. გარდა ამისა, საჯარო სკოლების ექიმებსა და ექთნებს სმენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე სემინარი ჩაუტარეს. ასევე, გადაამზადეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელი, რომელსაც სპეციალური აპარატი გადასცეს და იგი ხარაგაულში გამოკვლევებს გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ შვედი ექიმების ჯგუფი ხარაგაულში წელს მეორედ იმყოფება და მათ მიერ გაწეული ქველმოქმედება, დაახლოებით, 100 000 ლარის ღირებულებას შეადგენს.

ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრაზე ნიკოლოზ თოფურიძემ გასული ერთი კვირის განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეაჯამა და მერის წარმომადგენლებისგან ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები მოისმინა. თოფურიძემ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ყველა პრობლემურ საკითხზე დროული რეაგირება და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების მიღება დაავალა.

„სოფელი უნდა იყოს ძლიერი და ამისთვის ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმოქმედოთ. აუცილებელი და მთავარი გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის მოწესრიგება, ხიდ-ბოგირების შეკეთებაა. მოსახლეობის მოლოდინი ძალიან დიდია და, შეძლებისდაგვარად, უნდა მოვაწესრიგოთ ყველა პრობლემა, რაც უმთავრესია.“ - აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

ნიკოლოზ თოფურიძემ ასევე ისაუბრა წყლის სისტემის მოწესრიგებაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალ წელს ყველა სოფელში წყლის სისტემა სათავე- ნაგებობებით მოეწყობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო მილების შეძენა, რომლებიც, საჭიროებების მიხედვით, უკვე გადანაწილდა.

თათბირზე ყურადღება გამახვილდა სოფლებში არსებულ წისქვილებსა და მგზავრთა ამორტიზებულ სატრანსპორტო მოსაცდელებზე. ნიკოლოზ თოფურიძემ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს მათი აღნუსხვა დაავალა. ხარაგაულის მერის განმარტებით, აუცილებელია ვიცოდეთ მათი რაოდენობა და, შესაბამისად, 2019 წლის ბიუჯეტში მოხდება სარეაბილიტაციო თანხების გათვალისწინება.

ხარაგაულს შვედეთის ელჩი სტუმრობდა

შვედეთის ელჩი საქართველოსა და სომხეთში, ულრიკ თიდესტრომი, ხარაგაულს სტუმრობდა. ბატონი ულრიკი იმერეთის მხარის რწმუნებულ-გუბერნატორთან, შავლეგო ტაბატაძესთან, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატ კობა ლურსმანაშვილთან, მუნიციპალიტეტის მერ ნიკოლოზ თოფურიძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძესთან ერთად, ბორითის საბავშვო ბაღში სტოკჰოლმის ექიმების მიერ სმენადაქვეითებულ ბავშვთა გამოსავლენად ჩატარებულ კვლევის პროცესს დაესწრო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უცხოელ სტუმარს ამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის, რომელიც ხარაგაულში უკვე მეორე წელია ტარდება, მადლობა გადაუხადა. მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ და იმერეთის გუბერნატორმა შავლეგო ტაბატაძემ, შვედეთის ელჩს, შვედ ექიმებსა და პროექტის კოორდინატორს, მაია ბერაძე-ჯონსონს, მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. როგორც შეხვედრაზე ხარაგაულის მერმა აღნიშნა, ადგილობრივი ხელისუფლება სრულ მზადყოფნაშია მსგავსი ინიციატივების მხარდასაჭერად.

ულრიკ თიდესტრომმა ხაზი გაუსვა საქართველოში სტუმარმასპინძლობის ტრადიციას და მადლიერების გრძნობა გამოხატა ქართველი ხალხის მიმართ, ესოდენ დიდი სითბოსა და ყურადღებისათვის.

შეგახსენებთ, რომ სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციის ექიმებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სმენის პრობლემების მქონე დაახლოებით 800-მდე ადამიანი გამოიკვლიეს, მათგან 16-ს სასმენი აპარატები გადაეცა.

აპარატები გადაეცემა ასევე 22 ბენეფიციარს.

აღსანიშნავია, რომ სტოკჰოლმის წარმომადგენლების ხარაგაულში ვიზიტის მხარდამჭერია მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.

მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე სოფლებში მოსახლეობას შეხვდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე პირველ მოადგილე არჩილ მაღრაძესთან ერთად, ლეღვნისა და მარელისის მოსახლეობას შეხვდა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა მოსახლეობას დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. 2019 წელს ლეღვანში სკოლამდე მისასვლელ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდება, ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა გაგრძელდება მარელისში.

„ჩვენ მიერ წამოწყებულ ინიციატივებს მოსახლეობა პოზიტიურად ხვდება, თუმცა სოფლებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. სამასალე ხე-ტყესა და ბუნებრივ რესურსებზე წვდომა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსახლეობისთვის. ამაზე საკანონმდებლო ორგანოში სრული დატვირთვით მუშაობენ, რომელშიც აქტიურადაა ჩართული ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი “, - აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

გარდა ამისა, ნიკოლოზ თოფურიძემ შეხვედრა ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან გამართა. მერის ინფორმაციით, იგი უშუალოდ ადგილზე ეცნობა სოფლისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული. 2017-2018 წლებში ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით, 400 000 ლარამდე თანხა დაიხარჯა. მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი აირით სარგებლობს ისლარი. ხარაგაულის მერის განმარტებით, დიდი ალბათობით, მომავალი წლიდან ფარცხნალის გაზიფიცირების საკითხიც დადგება. ადგილობრივები კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა და ეტაპობრივად სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას ითხოვენ. აღსანიშნავია, რომ ფარცხნალსა და ისლარში გზების რეაბილიტაცია შემდეგი წლიდან კვლავ გაგრძელდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ადგილზე გაეცნო კიცხის (გიორგაძეების უბნის) მოსახლეობის პრობლემებს. ისინი წყლის სისტემის მოწესრიგებას ითხოვენ. ნიკოლოზ თოფურიძის თქმით, მერია ამ პრობლემის მოსაგვარებლად უახლოეს მომავალში წყლის რეზერვუარსა და მილებს შეიძენს. თოფურიძე ადგილობრივებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის აღდგენასთან დაკავშირებითაც ესაუბრა და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო.

2017-2018 წლებში კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით, 1 600 000 ლარი დაიხარჯა. 2019 წელს იგეგმება სოფელში ავალიშვილების საუბნო გზის კაპიტალური რეაბილიტაცია.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

თქვენ ისევ აქ ხართ!..

ნებისმიერი ხარაგაულელი, როგორც სიწმინდეს, ისე მიეახლება აბასთუმანს, რადგან იგი ჩვენი მიწის მკვიდრის, დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის, ევგენი ხარაძის, სულის საუფლოა, ხოლო ასტროფიზიკური ობსერვატორია კი - უქრობი ჩირაღდანი ციური სამყაროს კვლევის დიდოსტატის ხსოვნისა...

ასეთი იყო თითოეული ჩვენგანის განწყობა, როცა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრთან ერთად ვეწვიეთ აბასთუმანს და პატივი მივაგეთ დიდი მეცნიერის ხსოვნას.

ობსერვატორიის დიდი საკონფერენციო დარბაზის სცენაზე ჩვეული არტისტიზმისა და ორატორული ნიჭის ძალმოსილებით ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ საავტორო სპექტაკლით „უცებ მოსწყდება ვარსკვლავი“ შთამბეჭდავად დაასურათა ის ძნელადსავალი გზა, რომელიც ასე ღირსეულად განვლო დიდმა მეცნიერმა; სრულყოფილად წარმოაჩინა ის ნათელი საქმეები, რომლებიც მეცნიერებათა ლაბირინთებში თავდაუზოგავი წვდომითა და ზენაარისაგან მიმადლებული საოცარი ნიჭიერებით პირნათლად აღასრულა აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ.

დამსწრე საზოგადოებამ: ცნობილმა სწავლულებმა, ადიგენისა და ახალციხის პასუხისმგებელმა პირებმა, მიხეილ თამარაშვილის შთამომავლებმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე მანანა ბარბაქაძემ, ხარაგაულის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა, დედაქალაქიდან და სამაჩაბლოდან მობრძანებულმა სტუმრებმა ერთხელ კიდევ შეაფასეს აკადემიკოს ევგენი ხარაძის დიდი მეცნიერული ღვაწლი, მადლიერება გამოხატეს ქალბატონ იზა ვეფხვაძის მიმართ, რომელმაც მხატვრული სიტყვის ძალით ასეთ მაღალ დონეზე წარმოადგინა საამაყო ხარაგაულელის ცხოვრების საწყისი...

სპექტაკლმა განსაკუთრებული ემოციებით დატვირთა ის ახალგაზრდები (ევგენი ხარაძის თანასოფლელი, მისივე სახელობის ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე მონიკა ბუცხრიკიძე, მეორე საჯარო სკოლის ასევე წარჩინებული მოსწავლე მარიამ ჭიპაშვილი), რომლებიც სკოლის მერხიდანვე ცდილობენ, გაითავისონ ის გზა, რომელმაც მათი სახელოვანი თანამემამულე მეცნიერებათა მწვერვალზე აიყვანა...

ჯადოსნური ჰანგების ტყვეობაში...

რა ნიჭს არ ასხივებს ხარაგაულის კურთხეული მიწა... სპექტაკლის შემდეგ იზა ვეფხვაძის ორატორულმა ხელოვნებამ გზა დაუთმო სამუსიკო ხელოვნებას და ყოველი ჩვენგანი ჯადოსნური ჰანგების ტყვეობაში აღმოვჩნდით, როცა უნიჭიერესმა საოპერო ვარსკვლავმა, ვერტყვიჭალის მკვიდრმა მამუკა ლომიძემ, შეასრულა რევაზ ლაღიძის „ჰიმნი ქუთაისს,“ მისმა მეგობრებმა: გიორგი მოციქულაშვილმა- რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე,“ ხოლო ლევან მაკარიძემ - ცანგალას კუპლეტები ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან.“

აქვე სიამოვნებითა და მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მამუკა ლომიძე არა მარტო ნიჭიერი სოლისტია, არამედ მის პიროვნებაში მუსიკალურ ნიჭიერებასთან ძლიერი ძალითაა შერწყმული პატრიოტული გზნება. მას უსაზღვროდ უყვარს თავისი ხარაგაული და ვერტყვიჭალა. მან უკვე მეორედ დააფინანსა ლიტერატურული თეატრის ტრანსპორტირება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ღმერთმა უმრავლოს დედასაქართველოსა და ხარაგაულს ასეთი მამულიშვილები!

გავიხარე, რადგან შენ იყავი...

ჩვენმა თანამემამულემ, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ - თანამშრომელმა რეზო ნაცვლიშვილმა სიამაყით დაგვათვალიერებინა ობსერვატორია, მენისკური ტელესკოპი, შემდეგ კი აკადემიკოსის სამუშაო კაბინეტს გვაწვია. კაბინეტში, ყველაფერთან ერთად, ჩვენი ყურადღება კედელზე იდილიურმა სურათმა მიიპყრო: ფარცხნალში მამაპაპისეული სახლის აივანზე ზის აკადემიკოსი ევგენი ხარაძე მზრუნველ თავის საყვარელ დისშვილ ციცინო ჩიგოგიძესა და მისთვის გამორჩეულად საამაყო იზა ვეფხვაძესთან ერთად. აქ კი არ შეგვიძლია რამდენიმე წინადადებით არ გავიხსენოთ ქალბატონ იზა ვეფხვაძესთან დაკავშირებული ერთი სასიამოვნო ეპიზოდი: „თბილისში ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი მართავდა სპექტაკლს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს,“ საღამოს გახსნა იზას ჰქონდა დავალებული და მან ვრცლად ისაუბრა დიდებულ ხარაგაულელებზე. საღამოს დასრულების შემდეგ იზა მიიხმო დარბაზში მყოფმა მხცოვანმა მეცნიერმა და ჩვეული დინჯი ტონით უთხრა: - როცა ფარდა გაიხსნა, სცენაზე მშვენიერი გოგონა გამოვიდა, ძალზე კარგად ისაუბრა ხარაგაულზე; მე გული შემეკუმშა სიხარულითა და თან გულისწყვეტით. გავიფიქრე: მე ხომ იზა ხარაგაულში ყველაზე კარგი სიტყვის ოსტატი მეგონა და აი, თურმა მასზე უკეთესიც ყოფილაო. სცენიდან, როცა უფრო მოუახლოვდი მაყურებელს, მაშინვე გიცანი და გულში უცნაურად გამიხარდა, რომ ის გოგონა ნამდვილად შენ იყავი და სხვა არა...

ამ მიწად ვიქცე...

ახლა ოქტომბერია, აკადემიკოს ევგენი ხარაძის ამქვეყნად მოვლინებისა და 94 წლის ასაკში მარადიულ სამყოფელში დამკვიდრების თვე. გვინდა, შემოგთავაზოთ ნაწყვეტი იზა ვეფხვაძის წიგნიდან („ხარაგაული,“ ტ I, 2014 წ. გვ. 313).

...ასაკმოძალებულს, ფიქრიც მოეძალა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, ზეციური სასუფევლის კარიც კი „ბედნიერი ჭირისუფლობისთვის“ ამზადებდა ქართველ ერს და ზეცად მიჰყავდა ქართულ მინაზე მოსიარულე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, ვარსკვლავური ზეცის დიდი მეგობარი და მესაიდუმლე, ციური ენის კაცთა ენაზე თარგმნის დიდოსტატი.

2001 წლის ოქტომბერში, 94 წლის შესრულებამდე ორიოდე კვირით ადრე „ასაკით და ოცნებით დაღლილს“ სამუდამოდ მიეძინა მშვიდად და უდრტვინველად, მარადისობა დაეუფლა მის სულსა და სხეულს.

აბასთუმნისა და თბილისის მიწა ერთმანეთს ეცილებოდა მისი ცხედრის ჭირისუფლობას. აბასთუმანში იმ დღეს თურმე ცა წვიმად გლოვობდა მის არდაბრუნებას, ძლიერი ქარი ერთმანეთს ახეთქებდა ხეთა კენწეროებს, რომელთაც ევგენი ხარაძის ახალგაზრდობის დროინდელი ოცნება იცოდნენ:

„მაგრამ მე მინდა ამ მიწად ვიქცე,
ამ მიწად ვიქცე – არა სხვა მიწად.“

ორი საფლავი ძალზე ხშირად დიდი ადამიანების წილხვედრია და არავინ უწყის, საბოლოოდ სად შეიძლება შეჩერდეს ევგენი ხარაძის „ეტლი წუთისოფლისა.“

2001 წლის 14 ოქტომბერს - სვეტიცხოვლობას - ხარაგაულელებთან და სრულიად საქართველოს საზოგადოებასთან ერთად დიდუბის პანთეონში ევგენი ხარაძის სამარესთან მდგომმა „ამაყმა ჭირისუფალმა,“ ქალბატონმა იზამ, წარმოთქვა უმშვენიერესი სიტყვა და ბატონ ევგენის მარდიულ გზა - სავალზე ლოცვად გააყოლა ასევე ჩვენი ღირსეული თანამემამულის, რეზო თაბუკაშვილის, სიტყვები: „ნათელში იყავ, საქართველოს დიდო მოამაგევ და ჭირისუფალო.“

თქვენ ისევ აქ ხართ!..

ჩვენს ბედნიერ და უსაფრთხო მგზავრობაზე მზრუნველი კარგი ხარაგაულელის, ბატონ დავით ხარაძის, მადლიანი მარჯვენით მართული „ხომალდით“ ყანობილის მთიდან დაბლა - დაბლა ვეშვებით იმ გზით, რომელიც არაერთხელ აუვლ - ჩაუვლია ქვეითად მოსიარულე აკადემიკოსს. ჩვენი „ხომალდის“ ბორბლების ხმაური არღვევს ულამაზესი წინ-ვოვანი ტყის სიმშვიდეს და ზეცის თავანიდან ჩვენს გულისთქმას თითქოს უერთდება სიტყვები: - თქვენ ისევ აქ ხართ, ისევ აქ ხართ, თქვენი სპეტაკი სულის საუფლოში, თქვენს აბასთუმანში, ჭეშმარიტად თქვენს ობსერვატორიაში, ბატონო ევგენი, ჩვენო სიამაყევ, დიდო მეცნიერო და მამულიშვილო!

ანონსი

მცირე ხანში აკადემიკოს ევგენი ხარაძის პიროვნების თაყვანისმცემელ საზოგადოებას დიდი სიხარული ელოდება - ხარაგაულისა და ღირსეული ხარაგაულელებისადმი მიძღვნილ იზა ვეფხვაძის წიგნების სერიას შეემატება წიგნი „შენი ოცნება აქ აელვარდა,“ რომელშიც იზასეული მხატვრული სტილით იქნება გადმოცემული ციური სამყაროს მესაიდუმლის ამაღლებული მიწიერი ყოფა...

ეკა შავიძე
მერი გიორგიძე

ლაშის საჯარო სკოლა 100 წლისაა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშის საჯარო სკოლას დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. იუბილეს აღსანიშნავად სკოლაში საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, წმინდა სიმონ მჭედლიძის შთამომავლები, სკოლის კურსდამთავრებულები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოწვეულ საზოგადოებას, პედაგოგებსა და მოსწავლეებს სკოლის იუბილე მიულოცა ამავე სკოლის დირექტორმა ნანა აბესაძემ და აქვე მიმოიხილა ამ უძველესი სასწავლო დაწესებულების განვითარების ისტორია. ისაუბრა ყველა იმ სიახლეზე, ინოვაციურ პროექტსა და წარმატებებზე, რომლებიც უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება.

ლაშის საჯარო სკოლა სიმონ მჭედლიძის სახელს ატარებს, რომელიც 1918 წელს აშენდა. იმ დროს, როდესაც სოფელში მღვდელი სიმონ მჭედლიძე სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა, ცხადია, სკოლის აშენება ადვილი საქმე არ იყო. არ არსებობდა ფულადი სახსრები, მუშახელი და სხვა რესურსი, მაგრამ მან ეს პრობლემა წარმატებით გადაჭრა. შეირჩა ადგილი რკინიგზის ახლოს კლდოვან მაღლობზე. მშენებლობაზე ადგილობრივი მოსახლეობა დაუსაქმებია, თვითონაც არ ერიდებოდა ფიზიკურ შრომას. მოსახლეობის შემოწირული თანხებითა და მათი დაუღალავი შრომის შედეგად მალე ლამაზი, ორსართულიანი, ჭერმაღალი, ფართო ოთახებიანი სკოლა აუშენებია, რომელშიც სწავლება ოთხკლასიანი, შემდეგ კი რვაკლასიანი ყოფილა. ახლა კი თორმეტწლიანი სწავლებაა. ამჟამად სკოლაში 17 მოსწავლეა. პედაგოგების რაოდენობა კი 20-ს შეადგენს. საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროექტში, ჰყავთ სერტიფიცირებული პედაგოგები. სკოლას ნამდვილად ბევრი რამ აქვს საამაყო - ისტორია, ტრადიციები და, რაც მთავარია, პედაგოგები, რომლებმაც არაერთი წარმატებული მოსწავლე აღზარდეს.

ღონისძიებაზე მაყურებელი დიდი მოწონებით შეხვდა მერიის კულტურის სამსახურის უფროსის ქალბატონ ირინე ჩხეიძის სპექტაკლის პრემიერას „ილიას კვალდაკვალ“, რომლის სცენარმა და რეჟისორულმა გადაწყვეტამ ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ქალბატონ ირინეს ნიჭიერება. სპექტაკლი, რომელიც სრულყოფილად ასახავს წმინდანისა და დიდი მამულიშვილის ცხოვრების გზას, მაყურებელს ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა (მსახიობები: ირინე ჩხეიძე, ბათუ კიკნაძე) წარუდგინა.

აღსანიშნავია, რომ სიმონ მჭედლიძის შვილიშვილმა, დამანა მელიქიშვილმა სკოლას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მდიდარი ბიბლიოთეკა შესძინა და ათობით წიგნი საჩუქრად გადასცა.

ეკა შავიძე

სოხუმის დაცემიდან 25 წელი გავიდა

27 სექტემბერი ერთ-ერთი უმძიმესი დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში. სოხუმის დაცემის დღიდან 25 წელი გავიდა. 1993 წლის შემდეგ ეს დღე თითოეული ქართველისთვის გლოვის, ხსოვნისა და იმედის დღეა. ღონისძიება, რომელიც ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის (უფროსი ირინე ჩხეიძე) ორგანიზებით ჩატარდა, იმ 23 ხარაგაულელი ახალგაზრდის გახსენებით დაიწყო, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის ომის მონაწილეები, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოსა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებმაც გაიხსენეს ომის მძიმე წლები და თანამებრძოლთა გმირული თავდადების ეპიზოდები. სიამაყის განცდა გვეუფლებოდა თითოეულ ხარაგაულელს, როცა ამ პატარა ბიჭების სიმამაცის ისტორიებს ვისმენდით.

„ერთ-ერთი უმძიმესი დღეა საქართველოს ისტორიაში. გადავწყვიტეთ, ერთხელ კიდევ გაგვეახლებინა ჩვენი ჭრილობა, ტკივილი და მოვფერებოდით იმ ადამიანებს, რომლებიც უშუალო მონაწილეები იყვნენ იმ დღეებისა. მჯერა, დადგება დრო, როდესაც აფხაზეთი ისევ საქართველოს ნაწილი გახდება და მომეცემა შესაძლებლობა, გალაკტიონის ლექსი „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ აფახაზეთში წავიკითხო,“- აღნიშნა ირინე ჩხეიძემ.

წლების წინ ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრში დაიდგა სპექტაკლი „შენ, სისხლო ჩემო“, რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპული ბიჭების ხსოვნას მიეძღვნა. სპექტაკლის სცენარისთვის საჭირო გახდა მეომარი ბიჭების ისტორიების მოძიება. ამის შემდეგ ირინე ჩხეიძისა და მამუკა ჭიპაშვილის ინიციატივით, რომლებიც არიან სპექტაკლის სცენარის ავტორები, გამოიცა კრებული „ისინი საქართველოსთვის იბრძოდნენ,“ სადაც თავმოყრილია აფხაზეთის ომში დაღუპული ახალგაზრდების ცხოვრებისა და ბრძოლის შთამბეჭდავი ისტორიები. მათივე ინიციატივით გაკეთდა გმირების სტენდი, რომელიც მუნიციპალიტეტის სკოლებს საჩუქრად გადაეცა. გვჯერა, ისინი მუდამ იქნებიან ახალგაზრდა თაობებისთვის მისაბაძი ადამიანები.

ომის მძიმე დღეები გაიხსენეს ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნაძემ, საკრებულოს დეპუტატმა პაატა გოგოლაძემ, ელვარდი გიორგიძემ, ომის მონაწილე პაატა ფერაძემ. ვეტერანებს მიესალმა ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ თითოეულ ადამიანს მადლობა გადაუხადა.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „მასწავლებლის საერთაშორისო დღე“ აღინიშნა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით, სამუსიკო სკოლაში მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. პროფესიული დღე მოწვეულ პედაგოგებს ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპმთპ-ის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიულოცეს. ამავე დღეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარმატებულ პედაგოგებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. შეხვედრაზე ნიკოლოზ თოფურიძემ პედაგოგებს წარმატებები უსურვა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასწავლებლობა ერთ - ერთი ყველაზე რთული და საპატიო პროფესიაა.

შეგახსენებთ, რომ მასწავლებელთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა სათავეს 1994 წლის 5 ოქტომბრიდან იღებს, რომლის დაწესების იდეა რამდენიმე პედაგოგიურ ორგანიზაციას ეკუთვნის. განათლების საერთაშორისო ფედერაციის ძალისხმევით, ამ დღის პოპულარიზაცია მოხდა და დღესდღეობით ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა ზეიმობს.

საუკეთესო მასწავლებელთა სიაში მოხვდნენ:

ნინო ლოლაძე - ბაზალეთის საჯარო სკოლა; ჯუმბერ კვინიკაძე - ლაშის საჯარო სკოლა; ირმა ყრუაშვილი - საღანძილის საჯარო სკოლა; მარინე არჯევანიძე - კიცხის საჯარო სკოლა; რუსუდან ქურდაძე - ვახანის საჯარო სკოლა; ხათუნა გელაშვილი - ნადაბურის საჯარო სკოლა; ფრიდონ ხიჯაკაძე - ვარძიის საჯარო სკოლა; მზია ბერაძე - ხიდრის საჯარო სკოლა; დალი პერანიძე - წიფის საჯარო სკოლა; ქეთინო ცაბაძე - მოლითის საჯარო სკოლა; ნათია ხიჯაკაძე - ლეღვნის საჯარო სკოლა; ციალა სახვაძე - უბისის საჯარო სკოლა; ლია კიკნაველიძე - ღორეშის საჯარო სკოლა; ვერა ოდიკაძე - მარელისის საჯარო სკოლა; მაყვალა მესხი - წყალაფორეთის საჯარო სკოლა; ნატო არევაძე - ზვარის საჯარო სკოლა; მარინა ვეფხვაძე - N2 საჯარო სკოლა; ნაირა კვინიკაძე - N3 საჯარო სკოლა; ხათუნა ციცვიძე - სარგვეშის საჯარო სკოლა; ხათუნა ცხელიშვილი - ხუნევის საჯარო სკოლა; ნაზიბროლა ლაცაბიძე - ბორითის საჯარო სკოლა; ლილი პაქსაშვილი - ვაშლევის საჯარო სკოლა; ქეთინო პავლაძე - ბორის საჯარო სკოლა; მანანა ტაბატაძე - ხევის საჯარო სკოლა; დოდო ლილუაშვილი - ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა.

ეკა შავიძე

იმერეთის გუბერნატორი პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში ხარაგაულის მოსახლეობას შეხვდა

იმერეთის გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი რუსუდან ძიძიშვილი, ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და მოადგილე არჩილ მაღრაძე მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობას შეხვდნენ. შავლეგო ტაბატაძემ ხარაგაულის 15–მდე სოფლის მცხოვრებს ახალი ქვეკომპონენტი გააცნო, რომელიც „კენკროვანი კულტურების“ განვითარებაზეა ორიენტირებული. როგორც გუბერნატორმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელია, თითოეულმა გლეხმა აითვისოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები, გააშენოს ბაღები და ნახოს სარგებელი.

ლურჯი მოცვის, მაყვლისა და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების მხარდასაჭერად, სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა. ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს ახალი ქვეკომპონენტი - „კენკროვანი კულტურები“ დაემატა.

ქვეკომპონენტის ფარგლებში, განსაზღვრულ რეგიონებში, დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100%, როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში; 100%-ით დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემების ღირებულებაც; საჭიროების შემთხვევაში, მოხდება ასევე ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენა. „დანერგე მომავალი“ ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მისი მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო - სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ფიზიკური პირის დაფინანსების შემთხვევაში, ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არანაკლებ 0.15 ჰა-დან არა უმეტეს 0.5 ჰა-ის ჩათვლით კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების დაფინანსება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (რომლის საკუთრებაშია მეპაიეების მიერ პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) მიერ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობი განისაზღვრება თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არა უმეტეს 0,5 ჰა-ის გადაანგარიშებით. სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს, რომელიც დაფინანსებას მიიღებს არანაკლებ 5 ჰექტარზე ბაღის გასაშენებლად, უსასყიდლოდ გადაეცემა პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო 1 ერთეული სტაციონალური მაცივარ - კონტეინერი, რომლის ტევადობა, საშუალოდ, 20 ტონაა.

ეკა შავიძე

ზღვარდაუდებელი სიკეთის გზა-სავალი...

,,ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი) ამ სიტყვებით განსაზღვრულია ის გზა, საიდანაც იწყება ჩვენი თვალსაწიერი. ბუნებრივია, ჩემი თვალსაწიერი თეთრაწყაროდან იწყება. საქართველოს ყველა კუთხე, ყველა სოფელი მიყვარს, მაგრამ ჩემი სამკვიდრო თეთრაწყარო და ხემაღალი (ჩემი დედულეთი) ყველას მირჩევნია. ამ ჭეშმარიტების ნათელსაყოფად აკაკის სტრიქონებს მოვიშველიებ :

,,ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,
ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?“

ჰოდა, ნუ გამკიცხავთ და მიკერძოებასაც ნუ დამწამებთ, თუ ყველაზე მეტად თეთრაწყაროსა და თეთრაწყაროელთა სიკეთე გამახარებს და ცუდი საქმე გულს მატკენს (ღმერთმა დამიფაროს!). გრძნობების გადმოფრქვევის პათეტიკით რომ არ მოგაბეზროთ თავი, მინდა, სიხარული გაგიზიაროთ და თქვენთან ერთად მადლიერება გამოვხატო იმ პატრიოტი ქალბატონის მიმართ, რომელიც უკვე მეორე წელია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ახორციელებს საქველმოქმედო სკრინინგ-პროგრამას სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის. აუცილებელია, საზოგადოება ფლობდეს საკმარის ინფორმაციას, თუ ვინაა ამ სიკეთის მოთავე ქალბატონი, სადაა მისი ფესვები, საიდან მოდის, ,,ვისი გორისაა“ და საით მიემართება მისი ზღვარდაუდებელი სიკეთის გზა -სავალი...

თეთრაწყაროელთა თავკაცი...

სოფელ თეთრაწყაროში შრომისმოყვარეობით, ალალმართლობით, სიკეთითა და პატიოსნებით იყო გამორჩეული ვანო ბერაძისა და კიცხელი ანიჩკა ზვიადაძის მრავალშვილიანი ოჯახი. ოჯახის პირმშო, ვარლამ (ჭუკა) ბერაძე, წლების განმავლობაში იყო თეთრაწყაროს კოლმეურნეობის თავკაცი, ყველა ოჯახის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ზრდილი, ფიზიკური და სულიერი მშვენებით შემკული, უკეთილშობილესი პიროვნება…

სიყვარულითა და პატივისცემით შეულლდა ვარლამ ბერაძე ქ. ხაშურში მცხოვრებ, წარმოშობით, ლეღვნელ მარგალიტა შარიქაძესთან. მალე კერაზე სამი სიცოცხლე - დათო, მანანა და მაია- აჟღურტულდა...

მოულოდნელად წამოეპარა ოჯახს წუთისოფლის ავი ეტლი - ავტოავარიაში დაიღუპა ოჯახის, სამეზობლოსა და საახლობლოს დიდი იმედი - ვარლამ ბერაძე...

იმ დროს ოჯახის ყველაზე უმცროსი შვილი, ჩვენი საგაზეთო წერილის მთავარი გმირი, მაია ბერაძე (შემდეგში მაია ბერაძე-ჯონსონი) მხოლოდ 9 წლისა იყო...

ცალუღელად დარჩენილმა დედამ ვაჟკაცის მძიმე ტვირთი დაიდგა ქალურ სუსტ მხრებზე, თვალი გაუსწორა წუთისოფლის მუხთლობას, მტერ-მოყვარეს სათანადო პასუხი გასცა და ძლიერი დედური გრძნობით შეძლო, ღირსეულად გაეკვალა სამომავლო გზები ობლებისათვის. უმთავრესი კი ისაა, რომ ქალბატონმა მარგალიტამ შვილებს შრომის, სიმართლისა და თანადგომის უკეთილშობილესი გრძნობები განუვითარა...

მაია ბერაძემ წარმატებით დაამთავრა ა/კ რკინიგზის ხაშურის 25-ე საშუალო სკოლა. ცოდნის მაქსიმალური მიღებით დაინტერესებული გოგონა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მასწავლებლებშიცა და ტოლმეგობრებშიც. სიამოვნებით საუბრობს ქალბატონი მაია აღმზრდელი პედაგოგების დიდ მადლზე და განსაკუთრებული სითბოთი იგონებს ქართული ენისა და ლიტერატურის აწ განსვენებულ პედაგოგს, ქალბატონ ელენე ლაბაძეს...

გზა სამომავლო...

პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაისახა მაია ბერაძემ ცხოვრების უმთავრეს მიზნად და ამ მოწოდებით გახდა იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის სტუდენტი, რომლის სრული კურსიც 1990 წელს დაასრულა.

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მაია ბერაძეს აქვს ძალზე საინტერესო შრომითი ბიოგრაფია. იგი მუშაობდა პედიატრიის ინსტიტუტში, იაშვილისა და ჩაჩავას კლინიკებში, იყო ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველი. ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მაია ბერაძე-ჯონსონი, წარმატებით კითხულობს ლექციებს უცხოელებთან ნეონატოლოგიაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ბათუმის უნივერსიტეტში.

კარგად აღზრდილი ქალბატონი კარგი მეუღლე და ღირსეული ოჯახის დედაა. მისი რჩეული არის ცნობილი დიპლომატი, შვედი ამერიკელი, ერიკ ლი ჯონსონი, ერუდირებული პიროვნება და ძალზე განათლებული მშობლების შვილი, რომელიც ამჟამად სტოკჰოლმში, ამერიკის საელჩოში კურირებს განათლების სფეროს. ჯონსონების ოჯახში ორი პერსპექტიული ახალგაზრდა იზრდება: უფროსმა ლაშა ჯონსონმა, სკოლა ქალაქ სტოკჰოლმში დაამთავრა და ამჟამად სწავლობს ინგლისის ქალაქ ბრაიტონის უნივერსიტეტში. უმცროსმა, ლუკა ჯონსონმა, სკოლა საფრანგეთში დაამთავრა და დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია.

ორივე ყმაწვილს ძალიან უყვარს საქართველო, ქართველები, საუკეთესოდ ფლობენ ქართულ ენას. ლინგვისტი, ქართველოლოგი ერიკ ლი ჯონსონი ქართულ ენას ჯერ ამერიკაში მოღვაწე ქართველ პროფესორ დოდონა კიზირიასთან ეუფლებოდა, შემდგეკი სწავლა სორბონის უნივერსიტეტში განაგრძო. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ემიგრანტებთან. ძალიან უყვარს ჩვენი ეროვნული განძი - „ვეფხისტყაოსანი“- და საქართველოში ჩამოსვლის წინ ფიქრობდა, რომ ყოველი მეორე ქართველი ამ გენიალური პოემის სტრიქონებით ლაპარაკობდა...

ბატონი ერიკი ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო მცოდნე და შემსრულებელია. ქართველთა ასული, მაია ბერაძე, მან სწორედ ,,შავლეგოს“ საოცარი შესრულებით მოხიბლა. ქართული ენის სიყვარულით ინგლისურ ენაზე აამეტყველა ანა კალანდაძის პოეზია...

* * *

ქალბატონი მაია 2005 წლიდან ახორციელებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ორიენტირებულ პროექტებს. მისი თაოსნობით შვედი ექიმები უკვე მეორე წელია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამოწმებენ სმენადაქვეითებულ ბავშვებს და, პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, უსასყიდლოდ ურიგებენ სმენის სპეციალურ აპარატებს. -გასულ წელს - აღნიშნავს ქალბატონი მაია ჯონსონი - მუნიციპალიტეტის მასშტაბით, I-IV კლასის მოსწავლეები გამოვიკვლიეთ, წელს - საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და პირველი- მეორე კლასების მოსწავლეები. 2017 წელს განხორციელებულ სკრინინგ-პროგრამით 100 ათასი ლარის ღირებულების სმენის აპარატებით შევაიარაღეთ სმენადაქვეითებული მოზარდები. ამჯერად 800-მდე ბავშვი გავსინჯეთ. ვცდილობთ, რაც შეიძლება მოკლე დროით მოუხდეთ ლოდინი მშობლებს, რათა დროულად მივაწოდოთ სასმენი აპარატები, რომ მათ შვილებს გარკვეულად მოეხსნათ პრობლემა.

წელს ზრდასრული ასაკის პიროვნებებმაც მოგვაკითხეს და, შესაძლებლობის ფარგლებში, მათაც გაეწიათ ჩვენგან სათანადო დახმარება.

შვედი ექიმების ჯგუფის (სულ 7 პიროვნება) თითოეული წევრი მაღალი პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებითაა გამორჩეული.

მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდი მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრის (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) თანამშრომლებს, რომელთაც ყოველგვარი პირობა შეგვიქმნეს ნორმალური მუშაობისათვის.

ქალბატონო მაია!

მახარებს, რომ თეთრაწყაროელ და ლეღვნელ წინაპართა ძირძველ ფესვებზე ასეთი დიდი და ადამიანთა მოსიყვარულე გულის ქალბატონი ამოიზარდეთ!

მინდა, ყველა ხარაგაულელი პაციენტისა და მათი მშობლების თხოვნა ავასრულო და მადლობა გითხრათ თქვენ და ჯანმრთელობის მისიის აღმსრულებელ შვედ პროფესიონალ ექიმთა ჯგუფის თითოეულ წევრს.

- მადლისა კეთილი საქმე ღვთისაგან განმრავლდების, - შეგვაგონებს დიდი სულხან-საბა ორბელიანი. მწამს, უფალი მუდამ თქვენ გვერდით იქნება და კიდევ უფრო გაგიძლიერებთ ძალასა და შემართებას სხვათათვის სიკეთისა და სიხარულის მისანიჭებლად.

გაიხარეთ და იდღეგრძელეთ თქვენი ულამაზესი ოჯახის წინსვლა-წარმატებით, ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოთ თქვენი ამაგდარი დედა, 95 წლის ქალბატონი მარგალიტა შარიქაძე, რომელსაც თავდადებით მზრუნველობთ და სიცოცხლეს უხანგრძლივებთ.

ზღვარდაუდებელი სიკეთის გზა-სავალს დაგილოცავთ, ძვირფასო ქალბატონო!

მერი გიორგიძე

საკრებულოს სხდომაზე ანეულას მოსახლეობის პრობლემებზე იმსჯელეს

პირველ ოქტომბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარადგინა. მოხსენებითი ბარათის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს. მათ აქცენტი სოფელ ანეულას მკვიდრთა პრობლემებზე გააკეთეს.

ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისთვის“ თავმჯდომარის, ინგა მაღრაძის, ინფორმაციით, ანეულას მკვიდრნი სარიტუალო დარბაზის დემონტაჟის შედეგად მიღებული თანხის ამავე სოფლისათვის მოხმარებას ითხოვენ. „სარიტუალო დარბაზი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აშენდა, რომელიც სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის გამო განსახლების არეალში მოხვდა. შენობის დემონტაჟის შედეგად, მერიამ კომპენსაცია მიიღო და მოსახლეობა ამ თანხის სოფლისათვის მოხმარებას ითხოვს,“ - განმარტა დეპუტატმა. ინგა მაღრაძემ ასევე ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც მოსახლეობას საცხოვრებელი სახლების რეგისტრაციასთან აქვს. მისი თქმით, ვერ ხერხდება ხის სახლების საკუთრებაში აღიარება და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მაჟორიტარი დეპუტატი და უფლებადამცველი ორგანოები უნდა ჩაერთონ.

როგორც ჯაბა ბერაძემ განმარტა, ამ მიმართულებით მართლაც პრობლემაა, რადგან ასეთი ტიპის შენობა - ნაგებობა ექვემდებარება გადატანას და რთულია იმის დადგენა, თუ როდის აშენდა. ბერაძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იგეგმება აღნიშნულ კანონში ცვლილებების განხორციელება.

სხდომას ესწრებოდა სოფელ ანეულას მოსახლეობა, რომელთაც სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვეს. მათი განცხადებით, რკინიგზის წარმომადგენლები განსახლების ზოლში მოყოლილ მოსახლეობას ქონებაზე ძალიან დაბალ თანხას სთავაზობენ და სახლებიდან იძულებით გამოყვანას ჰპირდებიან. მათთვის შემაწუხებელია ასევე აფეთქებები, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს აზიანებს და გარემოს აბინძურებს.

ეკონომიკის სამსახურის უფროსის, ჯაბა ბერაძის, თქმით, სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები ადგილობრივ დონეზე ვერ გადაწყდება. „ჩვენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, არაერთხელ ვიმყოფებოდით ანეულაში და ვისმენდით მოსახლეობის პრეტენზიებს. დავუკავშირდით სამხარაულის ეროვნულ ბიუროს, რათა დამატებით მოხდეს ექსპერტიზის ჩატარება და განმეორებით შეისწავლონ სოფელში არსებული მდგომარეობა,“ - აღნიშნა სამსახურის უფროსმა.

საკრებულოს წევრი ჯამბულ გამცემლიძე თვლის, რომ ადამიანთა უფლებები ირღვევა და ხდება ქონების ხელყოფა. დეპუტატის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტს, დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება, როგორც საკრებულოს, ისე მერიის მხრიდან.

რაც შეეხება ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიშს, დეპუტატების უმრავლესობამ დადებითად შეაფასა. მხოლოდ ბაზალეთის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა ეკონომიკის სამსახურის მუშაობა უარყოფითად შეაფასა და განმარტა, რომ სამსახურმა ვერ დაგეგმა მოსაკრებელი, ვერ მოახდინა მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და მოვლა-პატრონობა, რადგან დღემდე ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში არსებული ტექნიკა და შენობა-ნაგებობები უპატრონოდაა და ნადგურდება. ვარლამ ჭიპაშვილმა ასევე კულტურისა და დასვენების პარკში არსებულ „ამფითეატრზე“ ისაუბრა. მისი აზრით, მოხდა ვანდალური ფაქტი და, რაც იყო, ისიც განადგურდა. მიუხედავად საკრებულოს მხრიდან არაერთი მითითებისა, სამსახურმა ვერ უზრუნველყო „ამფითეატრის“ მოვლა-პატრონობა, არც რაიმე სახის ღონისძიება გაუტარებია.

თამარ მაღრაძე

ბჟინევში გზის რეაბილიტაცია იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელ ბჟინევში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია განხორციელდება.

პროექტის ფარგლებში 4 კმ-მდე გზას ჩაუტარდება კაპიტალური რეაბილიტაცია, რომელიც მთის განვითარების ფონდიდან 324 711 ლარით დაფინანსდა.

ბჟინევში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა 2019 წლის თებერვლის ბოლოს დასრულდება.

ანსამბლმა „კახორმა“ „სულიკო 2018-ში“ მიიღო მონაწილეობა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა ქართული ლირიკული სიმღერების ფესტივალ „სულიკო 2018-ს“ უმასპინძლა. ფესტივალი, რომელიც „ვარინკობის“ სახელითაა ცნობილი, ტრადიციულად ვარინკა წერეთლის მშობლიურ მხარეში, ცხრაწყაროში, გაიმართა. ღონისძიებაში იმერეთის რეგიონის ათი მუნიციპალიტეტიდან მუსიკალური ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის იყო ხარაგაულიდან კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლი „კახორი“. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული შემსრულებლები. „კახორს“ ფესტივალის დამაარსებლის მამუკა ასლანიკაშვილის სახელობის პრიზი და ნომინაციაში - „საუკეთესო ახალგაზრდა შემსრულებელი" - სიგელი გადაეცა. „სულიკო 2018-ის“ გამარჯვებული და გრანპრის მფლობელი ქუთაისის კვარტეტი გახდა, ხოლო პირველი ადგილი წილად ხვდა ანსამბლ „ზესტაფონს". ფესტივალი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ხარაგაულში გარემოს დაცვითი ბარელიეფი გაიხსნა

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ საკრებულოსთან არსებულ გენდერულ საბჭოსთან ერთად ახორციელებს პროექტს „გენდერული თანასწორობის საბჭოები და გარემოსდაცვითი ინიციატივები.“ ამავე პროექტის ფარგლებში კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელთან კედელი მოიხატა. პანო მხატვარ გია მეიფარიანის მიერ შესრულდა, რომელიც საზოგადოებაში ქალთა როლის გაძლიერებასა და არსებულ ეკოლოგიურ გამოწვევებს ეძღვნება.

ფერად პანოსთან ხარაგაულის საკრებულოს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, საბჭოს მდივანი, მერის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ინგა ბერაძე, საბჭოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციის, მერიისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

ა/ო „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ხელმძღვანელმა ხათუნა მანჯავიძემ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებისა და ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის აუცილებლობაზე ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სასმელი წყლის დაბინძურების ხარისხი გამოიკვლიეს, მერის წარმომადგენლების ჩართულობით მოიძიეს ინფორმაცია სოფლებში მეწყერსაშიში ზონების შესახებ. ასევე შეიკერა და დარიგდა ნაჭრის ჩანთები, რითაც მესიჯი გაეგზავნა საზოგადოებას, რომ პოლიეთილენის პარკების ნაკლები გამოყენებით ხელი შეუწყონ გარემოს დაცვას.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭომ დაამტკიცა 2018-2019 წლების „მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა,“ რომლის ფარგლებშიც დაგეგმილ აქტივობებს გენდერული საბჭო თანმიმდევრულად განახორციელებს.

რამდენიმე მოქალაქეს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი მიენიჭა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭომ განიხილა მოქალაქეთა განცხადებები – მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

დადებითი რეკომენდაცია გაეწიათ შემდეგ მოქალაქეებს: მალხაზ ლომიძეს, ზურაბ ჩაჩანიძეს, ლეილა ჩაჩანიძეს, მალხაზ ჩაჩანიძეს, ჟუჟუნა დალალიშვილს, ხათუნა ჩადუნელს, დავით ბლიაძეს, მზია ბლიაძეს, ჯანელი ბლიაძეს, შორენა ბლიაძეს, ზაურ ბლიაძეს, ნუგზარ ბლიაძეს, ინგა კურტანიძეს, ალექსანდრე ჩადუნელს, ჯემალ ბლიაძეს, ვაჟა ბლიაძეს, ივანე ბლიაძეს, გიორგი ჩადუნელს, სულხან ჩადუნელს, მარინა გრიგალაშვილს, ნანა ბლიაძეს, ზვიად ლომიძეს, ვალერი გრიგალაშვილს, ია კახნიაშვილს, მალხაზ ბლიაძეს, მარიამ კაპანაძეს, გიორგი გრიგალაშვილს, ნაზიბროლა ბრეგვაძეს, ცირა ბლიაძეს, ანა ჩადუნელს, ნანა ბლიაძეს, შმაგი ბლიაძეს, ანზორ ბლიაძეს, ნონა ბლიაძეს, ზინა ბლიაძეს, შურა ბლიაძეს, მურთაზ ბლიაძეს, ემზარ ჩადუნელს, ნონა ხარაიშვილს, ამირან ბლიაძეს, ზაურ კურტანიძეს, ზინა ბლიაძეს, ტარიელ ბლიაძეს, ემზარ ბლიაძეს, დალი ბლიაძეს, ვერიჩკა ბლიაძეს, გულნაზი კახიძეს, გუგულა რიკაძეს, ზაირა საცერაძეს, ლალი დევაძეს, დავით რიკაძეს, ასმათ ნოზაძეს, თემურ რიკაძეს, დალი რიკაძეს, ტარიელ რიკაძეს, მზია რიკაძეს, სონია რიკაძეს, რუსნა ჩადუნელს, ტარიელ ტაბატაძეს, ავთანდილ ტაბატაძეს, ვერიჩკა ტაბატაძეს, ლოლა ბინაძეს, ნორა ჩადუნელს, სულიკო ჩადუნელს, ზოია ლომიძეს, ნარგიზა ჩადუნელს, ლიანა ჩადუნელს, ეთერ ლაბაძეს, რებიკო ბლიაძეს, გულნარა ჩადუნელს, ნინა ტაბატაძეს, გაიოზ რიკაძეს, იზოლდა ლომიძეს, ლელა ჩადუნელს, ტატიანა ჩადუნელს, სონა რიკაძეს, ინვერ ჩადუნელს, მარო ლომიძეს, სონა ლომიძეს, რეზო ჩაჩანიძეს, ქეთევან ლომიძეს, სოფო არევაძეს, ირმა ლომიძეს, უშანგი ლომიძეს, თეა ლომიძეს, ზიანა ჩაჩანიძეს.

შეგახსენებთ, რომ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო განიხილავს ინდივიდუალურ განცხადებებს და გასცემს რეკომენდაციებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი იღებს და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს.

ზუსტი მონაცემები უკეთესი მომავლისათვის

საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი - მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა დაიწყო, რომელიც სამი თვის განმავლობაში თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში განხორციელდება. სწორედ ამ კუთხით სამოქალაქო განვითარების საგენტოს წარმომადგენლები რეგიონებში მოსახლეობასთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს აწყობენ, რომლის მიზანიც კვლევაში მონაწილეობის მიღების მოტივაციის ამაღლებაა. ამ მიმართულებით შეხვედრა მოეწყო ხარაგაულის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში და დამსწრე საზოგადოებას აღნიშნული პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სამოქალაქო განვითარების სააგენტოს მენეჯერმა შორენა მეგრელიშვილმა. მისი განმარტებით, სტატისტიკის ეროვნული სამსახური გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად შეაფასებს 14 ათასი ოჯახის მდგომარეობას. კვლევაში მონაწილეობის მიღება არის ნებაყოფლობითი და ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს. კვლევის ფინანსური მხარდამჭერები არიან ასევე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მთავარი მიზანია, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეგროვდეს მონაცემები განათლების, ჯანდაცვის, ბავშვთა განვითარების, აღზრდის და ზრუნვის, ადრეული ქორწინების, ენერგიის მოხმარების, გარემოს დაცვისა და ინფრასტრუქტურის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, დევნილებისა და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის შესახებ. კვლევის შედეგები ერთ-ერთი ხელშემწყობია, რათა მთავრობამ მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა შეიმუშავოს.

აღსანიშნავია, რომ 1995 წლიდან დღემდე ასეთი მასშტაბური კვლევა 107 ქვეყანაში ჩატარდა, საქართველოში კი ბოლოს 2005 წელს მოხდა. 20 დეკემბრის ჩათვლით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გუნდი, რომელიც ეწევა ოჯახებს, საათ - ნახევრის განმავლობაში ჩაატარებს ინტერვიუებს, აიღებს სასმელი წყლის სინჯებს, გაზომავს და აწონის 5 წლამდე ბავშვებს, სპეციალიზირებული მედდა 2-7 წლის ბავშვებს, მშობლის თანხმობით, აუღებს ვენიდან სისხლს, რომელიც გადაიგზავნება იტალიაში, ერთ-ერთ საუკეთესო ლაბორატორიაში, სადაც განისაზღვრება სისხლში ტყვიის შემცველობის დონე. კვლევის საერთო შედეგები ცნობილი 2019 წლის გაზაფხულზე გახდება.

მოსახლეობასთან შეხვედრის მეორე ნაწილი გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური ცვლილებებისკენ მიმართულ კამპანიას „დაასრულე ძალადობა“ დაეთმო. გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელმა მაია ქურციკიძემ და პრაქტიკოსმა ფსიქოლოგმა ფართოდ განიხილეს ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა. სასიხარულოა, რომ უკანასკნელ პერიოდში საზოგადოება ამ პრობლემაზე ღიად ალაპარაკდა. დღეს დამალული არაა, რომ ბავშვების დიდი რაოდენობა ძალადობის მსხვერპლია სწორედ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც ისინი უნდა დაიცვან.

აღსანიშნავია, რომ იუნისეფის მხარდაჭერით, საქართველო შეუერთდა ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალური პარტნიორობის პლატფორმას, რომლის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ქვეყნების დახმარება ძალადობის დასაძლევად ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებაში.

ლელა გუგულაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12